პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# წითელ-არმიელი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ. მე-4-ზე—40 კ.

150 (1145) | ხუთშაბათი 2 სექტემბერი 1926 წ. | (1145) 150

## განცხადება.

2 სექტემბერს შუადღის 3 საათზე წითელი არმიის და ფლოტის ბაღის თეატრში **ამხ. ლუნაჩარსკი** წაიკითხავს მოხსენებას ტფილისის გარნიზონის ნაწილებს უფ-პოლიტმემადგენლობისათვის.

ნაწილებმა უნდა გამოაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები ბილეთების მისაღებათ წით. არმიის და ფლოტის ბაღის კანცელარიაში მდივანთან, **2, სექტემბერს დილის 10-ან 11 საათამდე.** (მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 73) აღნიშნულ დროზე ვინც გადააცილებს დაკარგავს ბილეთებს.

**წ. ა. ფ. ს. პარტ-პოლიტ-განათლების საბჭო.**

## ჩვენი გაზეთი და შევგული.

ჩვენი გაზეთი საუკეთესო მეგობარია ყოველი წითელ არმიელის. წითელ ყაზარმაში ორი წლის ყოფნის განმავლობაში ახალგაზრდა მებრძოლი ძლიერ დაუახლოვდა თავის გაზეთს—„წითელ არმიელს“, გახდა მისი მუდმივი მკითხველი და აქტიური თანამშრომელი. „წითელ არმიელი“ შეიქნა წითელ მებრძოლისათვის ერთ ერთ მთავარ ხელმძღვანელად, მის ყოველდღიურ ცხოვრებასა და მუშაობაში. ამას მოწმობს თუნდაც ის აურაცხელი შეკითხვები, რომელიც ყოველდღიურად მოსდის რედაქციას თავის მკითხველებისაგან სხვა და სხვა საკითხების შესახებ. ამრიგად „წითელ არმიელი“ საუკეთესო მეგობარი და ახლობელი ამხანაგია წითელ არმიელისათვის—წითელ ყაზარმაში ყოფნის დროს.

მაგრამ არა ნაკლებ სამსახურს გაუწევს ის წითელ არმიელს წითელ ჯართან კავშირის დაკავებაში, როცა ეს უკანასკნელი გრძელ ვადიან შვებულებაში წავა.

შვებულის პირველ ძ რითად მოვალეობას შეადგენს მუდამ იქონიოს მჭიდრო კავშირი წითელ ჯართან, გაცნობილი იყოს მის ყოველდღიურ ცხოვრებას და მუშაობას.

და აი, ამ მხრივ მას დიდათ დაეხმარება მისი გაზეთი „წითელ არმიელი“.

ამიტომაც შვებულმა აქიდანვე უნდა მიიღოს ზომები და გამოიწეროს „წითელ არმიელი“.

მაგრამ მარტო გამოწერა და კითხვა არ არის საკმარისი. შვებული ისევე როგორც წითელ ჯარში ყოფნისას, წითელ ჯარიდან წასვლის შემდეგაც მოვალეა სისტემატიურად ითანამშრომლოს ჩვენს გაზეთში.

მან უნდა მოიწეროს იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ის წითელ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას, რა კეთდება სოფელში, როგორ მიდის მოსახლეობის გასამხედროების საქმე, რა გააკეთა პირადათ მან ამ დარგში, და სხვ. მოიწერს რა ყოველივე ამის შესახებ, შვებული დიდათ შეუწყობს ხელს წითელი ჯარის და სოფლის დაახლოებას.

შვებული არა მარტო თვით უნდა იწერდეს „წითელ არმიელს“, არამედ ის უნდა ცდილობდეს სხვასაც გამოაწერიოს ჩვენი გაზეთი და ფართოდ გაავრცელოს ის მოსახლეობაში. ამით შვებული დიდ სამსახურს გაუწევს გასამხედროების საქმეს.

გრძელვადიან შვებულებაში წასვლის დრო არც ისე შორსაა. ამიტომაც შვებულნი აქიდანვე უნდა შეუდგნენ „წითელ არმიელის“ გამოწერას სახლისათვის. ამ მხრივ პირველი მაგალითი უნდა მისცენ კომუნისტებმა და კომკავშირელებმა. სამხკორები მოვალენი არიან აქედანვე შეუდგნენ ხელის მოწერის ორგანიზაციას ნაწილებში.

ყოველი შვებული უნდა იყოს ჩვენი გაზეთის მუდმივი ხელის მომწერი და აქტიური თანამშრომელი.

## ბრძოლა ტანჟერისათვის.

ამ ბოლო ხანებში კვლავ გამწვავდა დამოკიდებულება იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ტანჟერის საკითხის გარშემო.

ტანჟერი მსხვილი ნავთსადგურია ხმელთა შუა ზღვაზე. ის ძევს ჰიბრალტარის სრუტეს შესავალში, რაც ხდის მას უდიდეს სტრატეგიულ მნიშვნელობის პუნქტად. ვინც განაგებს ტანჟერს, ის ბრძანებლობს მთელ ხმელთა შუა ზღვაზე ე. ი. მის ხელშია ინდოეთისკენ მიმავალი უახლოესი გზის ბედიღბალი.

ამიტომ არის, რომ ინგლისი ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ ეს დიდი მნიშვნელობის ნავთსადგური არავის არ ჩაუვარდეს ხელში. მან იცის, რომ მას არ დაანებებენ ტანჟერს, ვინაიდან ეს ნიშნავდა საფრანგეთის და იტალიის იმპერიალიზმის ბატონობისათვის ხმელთა შუა ზღვაზე მუდმივი მუქარის შექმნას. არც მას სურს ვინმემ სხვამ ჩაიგდოს ხელში. მაგრამ ინგლისმა მაინც ჰპოვა გამოსავალი. მან მიაღწია მას, რომ 1923 წელს ტანჟერი გამოცხადდა საერთაშორისო ნეიტრალურ ქალაქად, რომელსაც მართავს კომისია. ეს უკანასკნელი დანიშნა იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ტანჟერის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების ძალით აგრეთვე აკრძალულია როგორც ტანჟერის, ისე მის გარშემო მდებარე ადგილების გამაგრება; ვაჭრობას კანტროლს უწევენ უცხოელი კონსულები.

ამ რამოდენიმე დღის წინად ტანჟერის გარშემო დავა ასტეხა ესპანეთმა. მან განაცხადა, რომ ტანჟერი ფაქტიურად ძევს მაროკოს იმ ნაწილში, რომელიც მას ეკუთვნის, ამიტომ ესპანეთის მთავრობა მოითხოვს რათა ტანჟერი გადავიდეს მის გამგებლობის ქვეშ, ან და ერთა ლიგამ გადასცეს მას მანდატი ტანჟერზე 15 წლის ვადით.

რას უნდა ამით მიაღწიოს ესპანეთმა? მას სურს ხელში ჩაიგდოს ეს მდიდარი, მსხვილი ვაჭრობის ქალაქი, რომელიც მსხვილ შემოსავალთან ერთად სამხედრო ძლიერების მხრივაც დიდ სარგებლობას მოუტანს გათამამებულ ესპანეთის იმპერიალიზმს. აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: ტანჟერის საკითხის გადახილვას მოითხოვს ფაშისტური იტალიაც, რომელსაც მეგობრობის ხელშეკრულება აკავშირებს ესპანეთთან, ეს უკანასკნელიც მტკიცედ დგას თავის მოთხოვნილებებზე სწორედ იტალიის იმედით.

ესპანეთის მოთხოვნილებებმა მეტისმეტად აღაშფოთა ინგლისის ბურჟუაზია, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება ტანჟერის გადაცემაზე ესპანეთისათვის.

არც საფრანგეთი უყურებს კეთილი თვალით ესპანეთის ზრახვებს. მას სრულიად არ სურს, რომ მისი მეზობელი გაძლიერდეს ტანჟერში.

ამნაირად ტანჟერის საკითხის გარშემო კვლავ ცხარდება ბრძოლა, რასაც ადვილი შესაძლებელია მოყვეს დიდი გართულებები ევროპაში.

—ე.

# ინგლისის მთავრობა ავიწროებს მაღაროს მუშებს

## გაფიცულებმა გადასწყვიტეს ბრძოლა გამარჯვებამდე

### ფრანგები ბომბებს უშენენ მაროკოს მოსახლეობას

## შანხაის პროფკავშირთა საბჭო ემზადება დიდი გაფიცვებისთვის

### ავიწროებენ მუშებს

ინგლისის მთავრობა ითხოვს ღარიბების დახმარე საბჭოებს და ნიშნავს მათ მაგივრად მთავრობის კომისრებს. მთავრობამ დაადგინა აგრეთვე შეუწყვიტოს ყოველგვარი დახმარება უცოლშვილო მაღაროს მუშებს. მთავრობის ასეთ ზომას, როგორც მაღაროს მუშათა წინააღმდეგ მიმართულს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

### ბრძოლა გრძელდება

მთა-მადნის მუშათა ბელად კუკის აზრით მოლაპარაკების განახლება მთავრობასა და მაღაროს მუშებს შორის, შესაძლებელია.

ფინანსთა მინისტრ ჩერჩილის საპასუხოდ სმიტმა (მაღაროს მუშათა ერთ-ერთი ბელადი) განაცხადა, რომ მთავრობამ მოატყუილა მაღაროს მუშები. ჩვენ იძულებული ვართ განვაგრძოთ ბრძოლა.

### ფრანგები ბომბებს უშენენ მაროკოს

საფრანგეთის მფრინავებმა 5-ჯერ დაუშინეს ყუმბარები უედ-ელ-ხოლი სის დაბლობს მაროკოში.

რამოდენიმე სოფელი დამორჩილდა ფრანგებს. ესპანელებმა დახვრიტეს რიფების რამოდენიმე წარჩინებული პირი, რომელთაც აღმოაჩნდათ იარაღები.

### ემზადებიან გაფიცვისთვის

შანხაის პროფკავშირთა საბჭომ მ წერილობა დაუგზავნა წევრებს, რომლებიც მუშაობენ იაპონიის გემებსა და გემთსაშენებში,—მოემზადონ დიდი გაფიცვისთვის.

ჩინეთისა და უცხოეთის სხვა ფაბრიკების მუშებმა მიიღეს ბრძანება განაგრძონ მუშაობა, მაგრამ დახმარება გაუწიონ გაფიცულთ.

## საბჭოთა კავშირში

### სსრკ-ს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ახალი თავმჯდომარე

**საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა დონის ნახშირის ტრესტის გამგეობის თავმჯდომარე რუხიმოვიჩი.**

### ინგლისელ ქალთა დელეგაცია მოსკოვში

**31** აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის მაღაროს მუშათა ცოლების დელეგაცია.

დელეგაცია იმავ დღესვე გაემგზავრა ლენინგრადში. დელეგაციას თან ახლავს მთა-მადნის მუშათა კავშირის მდივანი გორბაჩევი.

### სსრკ-ს საზღვაო ძალთა უფროსად დანიშნულია ამხ. რ. ა. მუკლევიჩი

მ. გ. წ. ფლოტის სამხედრო საზღვაო ძალების უფროსად დანიშნულია მუკლევიჩი. ის დაიბადა ბელოსტოკში 1890 წელში ფაბრიკის მუშის ოჯახში. 1904—12 წწ. ის მუშაობს ფაბრიკებში და აწარმოებს პარტმუშაობას. რევოლიუციამდე მსახურობდა არმიაში რიგის ჯარის კაცად.

წითელ არმიაში—დაარსების დღიდან ეჭირა სხვა და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობები.

პარტიული ხაზით ის იყო პარტიის ვილნოს კომიტეტის მდივანი, პოლონეთის კომპარტიის საზღვარ გარეთელი ცეკას ბიუროს წევრი, ასეთივე—ლიტვის, მონაწილეობდა როგორც დელეგატი კომინტერნის მე-3 კონგრესზე.

## საქართველოში.

### გერმანიის მუშათა დელეგაცია ტფილისში

**გამსახლში**

22 აგვისტოს გერმანიის დელეგაციამ დაათვალიერა გამსახლი, რომელშიაც საუბარი ჰქონდა პოლიტპატიმრებთან.

**ამხ. ელიავასთან**

საღამოს 6 საათზე დელეგაცია მიიღო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ელიავამ.

განსაკუთრებით დაინტერესებული იყო დელეგაცია საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობით, ქვეყნის დღევანდელი სამეურნეო მდგომარეობით, საკითხით იმაზე, თუ რამდენად გაუმჯობესდა საქართველოს სამეურნეო მდგომარეობა მენშევიკურ მთავრობის დროსთან შედარებით.

### ლენინის ძეგლი ზაჰესში

ტფილისში გამოგზავნილ იქნა ლენინის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც დამზადა ლენინგრადის ერთ-ერთ საუკეთესო ქარხანამ.

ძეგლი დადგმულ იქნება ზაჰესის საშუალო ადგილზე.

ამ ჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ძეგლის საძირკვლის ჩასაყრელად. ძეგლის საძირკვლის სივრცე იქნება 600 კვადრატული მეტრი.

ძეგლს ხელი გაშვერილი ექნება ზაჰესის მთავარ სადმშენებლო ადგილისაკენ. ქანდაკების სიმაღლე იქნება 11 არშინი. სიმძიმე 700 ფუთს აღემატება.

ძეგლის საერთო სიმაღლე იქნება 8 საჟენი.

### ლიტერატურა შვებულთათვის.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა. კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაიღოს 20 მანეთი შვებულ წითელარმიელთათვის საჭირო ლიტერატურის შესაძენად.

### სკოლა აისორთათვის

აისორთა საზოგადოება ტფილისში ხსნის აისორთა სკოლას. ხარჯების ნაწილს დაჰფარავს საქართველოს განათლების კომისარიატი.

### მებამბეობა

საქართველოს მებამბეობის ბამბის საწმენდ სამ ქარხანაში (ყარაიას, შულავერის და ქუთაისის) მიმდინარე წელს დამზადებულ იქნა 65 ვაგონი წმინდა ბამბა. 12 ვაგონი გაიგზავნა ადგილობრივ ფაბრიკაში ძაფის დასამზადებლად. დანარჩენი გაეგზავნა მოსკოვს კავშირის საფეიქრო წარმოებისათვის.

# ამხ. მიხა გახოკიას ხსოვნას

**28 სექტემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა საქართველოს კომუნისტური პარტიის ძველი, გამოჩენილი წევრი, იშვიათი მებრძოლი რევოლიუციონერი ამხ. მიხა გახოკია.**

## იგი თვითმკვლელი არ არის.

ამხანაგო გახოკია იყო მხურვალე რევოლიუციონერი ანთებული ენტუზიასტი, პატიოსანი მებრძოლი სოციალიზმისთვის, რევოლიუციის მოუსყიდელი ჯარისკაცი.

მახსოვს მისი მხურვალე, ცეცხლით აღსავსე სიტყვები ჯარისკაცთა მასიურ კრებაზე 1917 წელში. მაგონდება მისი გატაცებული სიტყვა—სიტყვა აღსავსე მძულვარებით და ზიზღით მუშათა კლასის ინტერესების და რევოლიუციის მენშევიკურ გამცემლობისადმი—1918 წელში, როცა ამხ. გახოკია თბილისის საბჭოს ბოლშევიკურ ფრაქციის დავალებით მქუხარე სიტყვით გამოვიდა მენშევიკ წერეთლის (ირაკლი) წინააღმდეგ.

შეუპოვრობით კისრულობდა იგი პარტიულ ცენტრის საშიშარ დავალებებს და ფანატიკური გატაცებით ასრულებდა მათ.

ეხლაც ცოცხლად გვიდგას თვალწინ მისი ნერვიული სიარული, ნერვიული ჟესტიკულიაცია, მისი ბრწყინვალე, ნერვიულად მოძრავი თვალები.

ყველა, ვინც ახლო იცნობდა ამხ. გახოკიას, განცვიფრებული იყო მისი პირდაპირობით, გულწრფელობით და თავისი პირადი ცხოვრების აძულებით.

მრავალი წლების მძიმე ბრძოლამ ბოლოს შეარყია მისი მაგარი ნერვები, გასტეხა მისი ჯანმრთელობა. ამხ. ს. ორჯონიკიძისადმი მიმართულ წერილში იგი ასახელებს სნეულებათა მთელ კოლექციას, რომლითაც შეპყრობილი იყო იგი: „მძიმე ფორმის ფსიქონევრასტენია“, „ანემია“, „კოლიასუმი“, „სინიტისი“, „ლიარგინიტისი“.

მეორე წერილში იგი ბავშური გულუბრყვილობით აღტაცებულია ს. კ. პ. ცეკას მიერ მასზე გაწეულ მზრუნველობით. „ზრუნვა ჩემზე, პარტიის უბრალო წევრზე, რათაც ჩემს თავს ვსთვლი, უნდა ჩაითვალოს იდეალურად.“

ჩვენს წინაშე სდგას არა ადამიანი, რომელსაც დაუკარგავს რევოლიუციონური ორიენტაცია, არა იმედ დაკარგული მოწუწუნე კაცი, რომელსაც წარკვეთია რწმენა რევოლიუციისა და სოციალიზმის, რწმენა ჩვენი პარტიის გამარჯვებისა. არა, ჩვენს წინაშე სდგას ამხანაგი გადაწყვეტილებით ბო-



ამხ. მიშა გახოკია

ლო მოუღოს სნეულობით გამოწვეულ ფიზიკურ წამებას, რომელმაც მოდრიკა მისი ძალღონე, ამხანაგი, რომელმაც თავის უკანასკნელი ამოოხვრა უძღვნა პარტიას, ამხანაგი გაწამებული იმ აზრით, რომ აწუხებს პარტიას თავის-თავზე ზრუნვით.

ამხ. გახოკია ოცნებობდა მუშაობის განახლებაზე, იგი იწვოდა მუშაობის სურვილით, მაგრამ მძიმე სნეულებამ ჩააგონა მას განუკურნელობის აზრი და მან თვითონვე გასწყვიტა თავისი სიცოცხლის ძაფი.

ჩვენ არ გვთვლით შენ, ძვირფასო ამხანაგო, თვითმკვლელად და თავსა ვხრით შენს წინაშე, რომელმაც მთელი ძალღონე შესწირე პარტიას, მუშათა კლასს და სოციალიზმისთვის ბრძოლას.

**ნაზარეტიანი.**

# გრძელვადიან შვებულება-ში წასვლის წინ.

## შვებულო, გახსოვდეს, რომ შენ ხარ სოფლის აქტიური მუშაკი

ყველამ კარგათ ვიცით, თუ რა მოვალეობა ეკისრება შვებულ წით. არმიელს სოფლად. ახლო დღეებში განთავისუფლდებიან 1902 წ. დაბად. წით. არმიელები. მათ შორის უმრავლესობას წარმოადგენს გლეხური ახალგაზრდობა. ყველა ესენი გაეშურებიან სოფლად და თან წაიღებენ ისეთ ცოდნას, რომლის საშვალებითაც უფრო ადვილი გახდება ჩვენი მეურნეობისა და მომავალი ცხოვრების კულტურულად დაწინაურება. ჯერ კიდევ ჩვენს სოფლებს ბევრი რამ აკლია, მაგრამ სოფლად მომუშავე ძალები შედარებით ნაკლებათ მოგვეპოვება.

სოფლის განვითარების მნიშვნელოვან ძალად უნდა გავხადოთ შვებული წითელ არმიელი, რომელმაც ორი წელი დაჰყო წითელ ყაზარმაში. მან აქ შეისწავლა სამხედრო საქმე, მაგრამ არა ნაკლებად—ჩვენი ცხოვრების კულტურულათ გაუმჯობესება.

წასულ წელს ბევრი შვებული წით. არმიელი წავიდა სოფლად, მაგრამ ის იმედები, რომელსაც მათ ამყარებდენ, ვერ გაამართლეს სავსებით. ბევრ გლეხისაგან გაიგონებთ: „ჩვენი მოსვე აქაც მოსვე, იქაც მოსვეო“ ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც წადი ისე მოდიო. თავის თავად ცხადია—წით. არმიელი, როგორც მოვიდა ყაზარმაში, ისე აქედან არ წასულა. მან ბევრი რამ შეისწავლა ახალი, ცოტად თუ ბევრად გაიცნო ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას, მაგრამ საზოგადოებას რა, თუ შენი ცოდნა სხვას არ გადაეცი, ან ვერ გადაეცი. ეხლანდელ შვებულებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი გაამართლებენ იმედებს, ვინაიდან მათ მეტი მომზადება და ცოდნა შეიძინეს, ვიდრე მათ წინა ცვლამ.

წით. ჯარში 1902 წელში დაბადებულ გლეხურ ახალგაზრდობასთან ერთად იმყოფება მუშური ახალგაზრდობაც, რომელიც არა ნაკლები მოვალეობით დატვირთული წავა ფაბრიკა-ქარხნებში.

დღეს მუშურ გლეხური რესპუბლიკების კავშირი დამყარებულია წით. ჯარზე, რომელიც იცავს მშვიდობიან ხელისუფლებას მტრებისაგან და ამავე დროს სამსახურის დამთავრების შემდეგ თითეული წით. არმიელი მომზადებული ემბება სახოგადოებრივ აღმშენებლობითი საქმეში.

არის ისეთი კუთხეები, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ახალგაზრდობა მეტად ჩამორჩენილია განვითარებას.

განსაკუთრებით იქ, საიდანაც არც ერთი ახალგაზრდა წით. ჯარში არ მოხვედრია. ასეთ სოფლებს მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს შვებულ წით. არმიელმა, მიუხედავად იმისა, თუნდაც ის იმ სოფლიდან არც კი იყოს.

ახალ შვებულ წით. არმიელებს უსურვებ, რომ ის ცოდნა, რომელიც მათ შეიძინეს წით. ჯარში, მტკიცეთ და ერთგულად გამოიყენონ ჩვენი სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

**მიხო საწ რელი.**

# საერთო შეკრების წინ.

## რა უნდა ახსოვდეს თვითეულ მ[...] მავალ მეთაურს.

### ათეულის უფროსი—რიგის არმიელის უახლოესი უფროსია.

ეს კარგად უნდა ახსოვდეს კურსანტებს შეკრებისა და მანევრების დროს.

პირველ ყოვლისა უფროსი უნდა იყოს გავლენიანი თავის ხელქვეითთა შორის, როგორც სამსახურში, ისე სამსახურს გარეშე; ის უნდა იყოს მაგალითი ყველაფერში, დისციპლინიანი და სამხედრო საქმის მცოდნე. მხოლოდ ასეთ მეთაურს შეუძლია მოითხოვოს ხელქვეითისაგან მორჩილება, მოიხვეჭოს სიყვარული და ნდობა.

### ათეულის უფროსი კარგად უნდა იცნობდეს თავის მეომრებს.

სამსახურში უფროსი, მასწავლებელი და აღმზრდელი, თავისი მეომრების მცოდნე; სამსახურს გარეშე—უფროსი ამხანაგი, მეომრის ყოველგვარი საჭიროების შემცნობი,—აი როგორი უნდა იყოს ათეულის მეთაური.

ჯიბრს, დაშინებასა და სხვა ასეთებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ხელქვეით მეომართა მიმართ, მაგრამ იმავ დროს ათეულის მეთაურმა ისე უნდა დაიჭიროს იმ თავითვე თავი, რომ მეომრები უყურებდენ მას, როგორც უფროსს.

ამ მხრივ დიდი განსხვავებაა წითელი არმიის მეთაურსა და მეფის არმიის ეფრეიტორს შორის, რომელიც შიშითა და მუშტით ასწავლიდა თავის ხელქვეითთ.

ამის მსგავსი რომ წითელ არმიაში არაფერი ხდება, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

### მაგალითი ყოველთვის და ყველაფერში.

ამას უნდა ჩაუფიქრდეს თვითეული კურსანტი, რომელსაც მეთაურობა მოუწევს შეკრებებსა და მანევრებზე:

თუ რომ ათეულის მეთა[...] იგვიანებს მეცადინეობაზე, [...] ვევს დისციპლინას, დაუდევ[...] იცვამს და სხვა, შეუძლია თუ [...] მას კარგი გავლენა ჰქონდეს [...] თელარმიელებზე, აღზარდოს [...] ნი და წინ გაუძღვეს ბრძოლა[...] არა და არა.

მეომარი, განსაკუთრებით ცვალებად შემადგენლობის, [...] მელიც გადასჩვევია შეკრების [...] რეში სამხედრო დისციპლინ[...] უდისციპლინო მეთაურის ხელ[...] სრულიად „აიშვებს თავს“ და [...] უდევრად მოეპყრობა სამსახუ[...] ხოლო ასეთ მეთაურს ის არ[...] დროს არ ჩასთვლის მეთაურად.

მოვიყვანოთ მაგალითისთვის [...] მდეგი: ვსთქვათ, ასეული ეწყ[...] შეკრებაზე ღამით დასვენებ[...] შემდეგ, ხოლო ათეულის უფრო[...] ჯერ კიდევ ზის და ჩაის სვა[...] მასთან იძახის—ცოცხლად [...] წყვეთო.

აშკარაა, ეს ათეულიც არ აჩ[...] რდება, რა გვაჩქარებს, იტყვი[...] როცა მეთაური ჩაის მიირთმევს[...]

კიდევ მაგალითი: მძიმე[...] ათეული მიდის სოფელზე. [...] დანიშნულ ვადაში უნდა დაათ[...] ლიეროს ჭალა სოფლის წინ.

ათეულის უფროსი, იმის მაგ[...] რად, რომ დროზე აასრულ[...] ამოცანა, შედის ქოხში და სვა[...] რძეს. მეომრებიც, რა თქმა უნდ[...] მას არ ჩამორჩებიან და მთე[...] ათეული 5—10 წუთით იგვიანებ[...]

აი ასეთ შემთხვევებს ადგი[...] არ უნდა ჰქონდეს შეკრებისა [...] მანევრების დროს.

რაც შეეხება ხელქვეით მე[...] რებთან მისვლას, მიდგომას, [...] დამოკიდებულია იმაზე, თუ რ[...] დენად იცნობს მეთაური თა[...] მეომრებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ [...] ათეულის მეთაურები ვერაა სათ[...] ნადო სიმაღლეზე, თანამედრო[...] ბრძოლაში ძნელი იქნება გამა[...] ჯვება.

**ძველი მებრძოლ[...]**

# რად გვინდა სტატისტიკა? *)

ვინც ცოტათ თუ ბევრად გაცნობილი არის სამეურნეო საქმიანობასთან, მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ანგარიშიანი და მიზანშეწონილი მოსაქმეობა მეურნეობის მოწყობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენში ამა თუ იმ გლეხის შესახებ იტყვიან, რომ ოჯახის საქმეებს თავს ვერ ართმევსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს გლეხი სუსტად ანგარიშობს, თავს ვერ უყრის სამეურნეო საქმეებს და ვერ აწარმოებს თავის ოჯახურ საქმიანობას ისე, რომ ყველაფერი რიგზედ გამოუდიოდეს. მაგრამ ასეთი გლეხები არ წარმოადგენენ უმრავლესობას. რომ გლეხობის უმრავლესობა ამნაირი უანგარიშო და უყაირათო მოსაქმე ყოფილიყო, მაშინ ჩვენი სოფლის მეურნეობა ჩაკვდებოდა და განადგურდებოდა. ჩვენი სოფლის მეურნეობის წინსვლა იმიტომაა უზრუნველყოფილი, რომ გლეხთა მეურნეობის დიდი ნაწილი სათანადოთ უვლის თავის ოჯახს, თავის საქმეს და სამეურნეო მოსაქმეობას. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ მეურნეობის გაძღოლისათვის საჭირო სათანადო ნიჭი და უნარი. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება მოწოდებულია უხელმძღვანელოს სახალხო მეურნეობის წინსვლას. თუ მან ამ ხელმძღვანელობის დროს არ გამოიჩინა საჭირო ნიჭი და უნარი, ისე წაუვა საქმე, როგორც უანგარიშო გლეხს. რომ უზრუნველყოს სწორი და შეუცდომელი ხელმძღვანელობა, ჩვენმა სოციალისტურმა ხელისუფლებამ კარგად უნდა იცოდეს, თუ რას წარმოადგენს ჩვენი ქვეყანა.

საქართველოში ოთხასი ათასი გლეხის მეურნეობა ითვლება. თუ ძნელია ერთი გლეხის მეურნეობისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, მით უფრო ძნელია ჩვენი ხელისუფლებისათვის ოთხასი ათასი მეურნეობისათვის მეთვალყურეობა, მისი განვითარებისათვის ხელის შეწყობა და ჩვენი სამეურნეო განვითარებისათვის საჭირო დახმარების აღმოჩენა.

სწორი ხელმძღვანელობა მოითხოვს, რომ მთავრობამ იცოდეს, თუ რას წარმოადგენს ის ქვეყანა, რომელსაც სათავეში უდგია; მან უნდა იცოდეს რა აკლია და რა უჭირს იმ ხალხს, რომლის ნება სურვილის გამომხატველიც ისაა. რომ მან ეს იცოდეს, ამისათვის საჭირო არის ყველა მეურნეობის შესწავლა, მათი აღწერა, მათი აღრიცხვა.

ძველი რეჟიმის დროს მთავრობას ფეხებზედ ეკიდა ხალხის ინტერესები. ის არც კი იტკივებდა თავს, რომ შეესწავლა გლეხური მეურნეობა. ის მათრახებით ბატონობდა და რაში ესაჭიროებოდა დაწვრილებით შეესწავლა ხალხის ყოფა-ცხოვრება. მაშინდელი მთავრობა თუ აწარმოებდა აღწერას, მხოლოდ გადასახადის გაწერის მიზნით. იმ დროინდელი სტატისტიკა (აღწერა, ციფრობრივი ანგარიში) მხოლოდ საგადასახადო მიზნებს ემსახურებოდა. ამ სტატისტიკას აწარმოებდა სოფლის მამასახლისები და მწერლები. ამიტომ არის, რომ ძველ დროიდგან შეშინებულ გლეხებს ეხლაც ეშინიათ სტატისტიკის და შეგნებულად არ იძლევიან სწორ ცნობებს, მაგრამ ძველსა და ეხლანდელ დროის შორის დიდი განსხვავებაა. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი სტატისტიკა მიზნად ისახავს შეისწავლოს სოფლის მეურნეობა სწორედ იმ მიზნით, რომ წესიერი და მიზანშეწონილი ხელმძღვანელობა გაუწიოს მას. ამიტომ არის, რომ ჩვენ გვსურს ამ საქმით დაინტერესდეს ჩვენი რესპუბლიკის ყოველი პატიოსანი მოქალაქე და ხელი შეუწყოს ჩვენს სტატისტიკურ ორგანოებს სწორ ცნობების მიღებაში. ამიტომ არის, რომ ჩვენ მოვდივართ წითელ არმიელთან და ვსთხოვთ მას ამ საქმეში დახმარებას.

წითელ არმიელებმა კარგად იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის შენახვას წითელ ჯარში. რომ არ შეირყეს ჯანმრთელობა, ჯარის სარდლობა სინჯავს ყოველ არმიელს და არკვევს ვინ არის ავადმყოფობით შეპყრობილი და წამლობს მას. ამით ის სპობს დაავადმყოფებას. ზეპირი ექიმობა აქ შეუძლებელი არის. სწორედ ასე არის სახელმწიფოს მდგომარეობაც. მან უნდა იცოდეს, რა სატკივარი აწუხებს ჩვენს გლეხურ მეურნეობას და ამისათვის კი საჭირო არის დაკვირვების წარმოება ყოველ მეურნეობაზედ და საერთოდ სამეურნეო ცხოვრებაზედ. ასეთი დაკვირვება საშუალებას მოგვცემს ჩვენ მოვნახოთ სოფლის მეურნეობის მტკივანი ადგილები და სათანადოთ უწამლოთ მას. ამ დაკვირვებას კი ხელს უწყობს სტატისტიკური აღრიცხვა.

მაშასადამე გიმოდის, რომ ჩვენში სტატისტიკა გამოგონილა არა ხალხის დასაჩაგრავად, არამედ მის საკეთილდღეოთ. ამიტომ ვლაპარაკობთ ჩვენ, რომ სტატისტიკა ხალხის მეგობარი არის.

ჩვენ გვსურს, რომ წითელ არმიელმა გაიგოს სტატისტიკის მიზანი და დანიშნულება. მას ეს არ გაუჭირდება და თუ გულწრფელად მოინდომებს, ხალხისთვის დიდი სამსახურის გაწევას შესძლებს.

ვისაც ხალხისთვის თავდადებული სამსახური სწადია, მან ხელი უნდა შეუწყოს სტატისტიკის განვითარებას ჩვენში. ვიმედოვნებთ, რომ ხალხისათვის თავდადებული წითელი არმია ამ დარგშიაც გამოიჩენს თავის უნარს და ენერგიას.

**ზ. ჩახვაძე.**

*) სტატისტიკა — მეცნიერებაა, რომელიც ციფრობრივი გამოანგარიშებით იკვლევს ამა თუ იმ მოვლენას, მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება-გაუარესებასა და სხვა.

# როგორ უნდა ატარო ბარგი ლაშ[...] ქრობის დროს.

წითელარმიელის მთელი ბარგის წონა ზაფხულში უდრის 27,78 კილოგრამს (კილოგრამი—2 ნახევარი გირვანქა), ზამთარში—29,29 კილოგრამს. ასეთი სიმძიმით (ბარგით) მოძრაობის დროს მეტი ენერგიის დახარჯვაა საჭირო, ვინემ უბარგოდ მოძრაობის დროს.

შესაძლებელია, ახლო მომავალში ამ ბარგის სიმძიმე შემსუბუქებულ იქნას საჭურველისა და სხვ. მსუბუქი მასალებისაგან დამზადების გზით. მაგრამ ამ ჟამად კი მთავარი ისაა, რომ ეს ბარგი წესიერად მოიკიდოს მეომარმა.

მოძრაობის დროს ჩვენ უფრო ხშირად და ღრმად ვსუნთქავთ, ვიდრე ჩვეულებრივად. აქ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ სუნთქვის დროს შეკრული არ გვქონდეს მკერდი და სუნთქვას არ გვიძნელებდეს.

ბარგის ტარების კარგი ხერხი ჯერ არცერთ არმიაში არაა გამომუშავებული. უნდა ვეცადოთ, რათა საჭურველი და ყოველგვარი ბარგი თანაბრად გვქონდეს განაწილებული მთელ ტანზე.

ყველამ ვიცით თუ ასეთი უბრალო მაგალითი, რომ უფრო ადვილია ნახევარ-ნახევარი ვედრო წყლის ორივე ხელით ტარება, ვინემ ერთი ვედროსი ცალი ხელით. თუ რომ სხეულის ერთი მხარე სწონის, ე. ი. სძლევს სიმძიმით მეორე მხარეს, მაშინ სხეულის მდგომარეობა მერყევია, ვერაა მტკიცე: მოგვიხდება კუნთების დაჭიმვა წონასწორობ[...] დაცვისათვის. ხოლო ასეთი მდგ[...] მარეობა ჩქარა იწვევს დაღლ[...] ლობას· ასეთ უწონასწორო მდგ[...] მარეობაშია, ვსთქვათ ცალ მხარ[...] ზე დატვირთული ურემი, რომ[...] ლიც მოსახვევებში, ადვილად [...] იძლება გადაბრუნდეს.

არ ვარგა აგრეთვე ბარგი მა[...] ლა აიკიდო ზურგზე, მთავა[...] სიმძიმე უნდა იყოს წელთან, [...] უნდა ემყარებოდეს. ჩვენი ხერხ[...] ლის მკერდის ნაწილი ჩვეულე[...] რივად გამოზნექილია წინ [...] ტვირთიც თავისთავად წელისაკ[...] ილტვის. თავისუფალი სხეულ[...] სიმძიმის ცენტრიც სხეულის ქ[...] და ნაწილში იმყოფება. აი ამ[...] ტომ, ბარგი ისე უნდა აიკი[...] და შეუგუო სხეულს, რომ არ [...] ირღვეს უკანასკნელის წონასწ[...] რობა. თორემ წონასწორობიდ[...] გამოყვანილი სხეული მალე [...] ლება·

შემდეგ დიდი მნიშვნელობა აქ[...] აგრეთვე იმ გარემოებას, რომ[...] ბარგი კარგად იყოს სხეულ[...] მორგებული, არ ეხახუნებოდ[...] მას, რათა ნივთები თოფრაკში [...] იყოს დაკუშულად ჩადებული, არ[...] მედ—თანაბრად განაწილებულ[...]

თუ ეს პირობები დაცული [...] ნება, შეიძლება ძალღონის შენა[...] ჩუნება, ე. ი. დიდხანს არ და[...] ლები. ხოლო ეს კი ლაშქრობ[...] დროს მეტად საჭირო და მნიშ[...] ნელოვანია.

**ლ. გ—ი.**

# ჩვენს ტერნაწილებში

## ახალი ძალები.

**მესანგრეთა სკოლის უმცროს მეთაურთა გამოშვება**

ა. წ. 15 იანვრიდან მე-2 მესანგრე ასეულში დაარსებული იქნა სასანგრე საქმის მცოდნე უნცროს მეთაურების მოსამზადებელი სკოლა, რომელშიც მოვლენილი იქნა ქართულ ტერლეგიონებიდან შვიდ-შვიდი კაცი. პირველ ხანებში ძნელი იყო პროგრამის მთლიანად შეთვისება მსმენელების მიერ, რადგანაც მოვლენილ წითელარმიელების უმრავლესობა იყვნენ წერა-კითხვის მცირე მცოდნენი და ზოგიერთი სრულიად უცოდინარნიც, მაგრამ ენერგიულმა მუშაობამ ნაყოფი მაინც გამოიღო. სკოლის მსმენელები დაყოფილი იქნენ სპეციალურ ჯგუფებათ, როგორიცაა: მესანგრეები, ამფეთქებლები, დურგლები, შემხამებლები, კალატოზები და სხვა.

გაზაფხულის პერიოდში შემოწმებული იქნა კურსანტების ცოდნა. გამოირკვა, რომ პროგრამა 85 პროცენტით ქონდათ შეთვისებული მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ხელშემშლელი პირობები ელობებოდა წინ მეცადინეობას. ზაფხულის განმავლობაში კი ჩატარებული იქნა სპეციალურ ჯგუფებში პრაქტიკული მეცადინეობანი. აქაც დიდი ენერგია გამოიჩინა სკოლამ.

მეცადინეობა დამთავრდა 21 აგვისტოს. ჩატარებული იქნა გამოცდები.

17 კურსანტიდან გამოშვებული იქნა 9 უმცროსი მეთაური. დანარჩენი კი სუსტი აღმოჩნდენ სპეციალურ საგნებში, რადგანაც მათ თავიდან არ ქონდათ საერთო განათლება და იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარები.

სასანგრე საქმის მცოდნე უმცროს მეთაურთა გამოშვება პირველი ნაბიჯი იყო მე-2 დივიზიაში და ლეგიონებმა ამის გამო ვერ შეარჩიეს სათანადოთ მომზადებული წითელ არმიელები. ამ გარემოებას მომავლისთვის უფრო ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს და სკოლისათვის გამოყოფილი იქნეს რაც შეიძლება სათანადოთ მომზადებული წითელარმიელები.

შუქი.

## სამხედრო კუთხეს სძინავს.

**(ბორჩ ლოს მაზრ)**

ლიუქსემბურგის კლუბთან 3 თვე იქნება, რაც სამხედრო კუთხე მოეწყო.

კუთხის გამგე და ადგილობრივი წერტის უფროსი არავითარ ყურადღებას არ აქცევს სამხედრო კუთხეს. დაარსებიდანაც არავითარი მუშაობა არ ჩატარებულა კუთხის გარშემო.

არავინ მას ყურადღებას არ აქცევს და კლუბში და სამკითხველოში ისე შედიხართ, ვითომც სამხედრო კუთხე იქ სრულებით არ არსებობდეს.

მართალიც არის!

ვინ მიაქცევს რაღაც მძინარა კუთხეს ყურადღებას, რომელიც თაროზე დალაგებულ უვარგის ქაღალდების და ნივთების საწყობს მოგაგონებთ.

ვინც და რამაც დააინტერესა ხალხი, ისინიც მისკენ მიექანებიან.

წარმოიდგინეთ, სანიმუშოთ არც ერთი ძველი გაზეთი არ მოიპოვება, გამოწერაც რომ უნდოდეს ვისმე და გამოწერის პირობები ამოიკითხოს შიგ.

სამხედრო კუთხესთან ერთი რომელიმე სამხედრო გაზეთი მაინც არ უნდა მოდიოდეს? უნდა მოდიოდეს, მაგრამ მას პატრონობა უნდა.

საკვირველებაა!

თუ სამხედრო კუთხე არ იყო საჭირო, რისთვის მოაწყვეს აქ და თუ საჭიროებას წარმოადგენს, რატომ ყურადღებას არ აქცევენ.

მე მგონი, ვინც სამხედრო კუთხეს აწყობდა აქ, მას ესმოდა მისი დანიშნულება და კიდეც უნდა ამართლებდეს მას.

თუ მოვალეობა თავისი არ ესმის სამკუთხის მოწყობის შემდეგ, წითელი ყაზარმა ასწავლის მათ, რომ სამხედრო კუთხის გარშემო უნდა ცოცხალი მუშაობა სწარმოებდეს. ჩამოყალიბებული იყო რამოდენიმე წრე და მით ადგილობრივ მცხოვრებლების გასამხედროება შევძლოთ, რომლებიც არა ნაკლებ დაინტერესებული არიან სამხედრო დარგით, მაგრამ „ხაზეინის“ ძილთან—მოსამსახურესაც ერთად ძილი მოსდის.

საჭიროა ამ საქმის სასწრაფო მოგვარება.

გ. ქლენტი.

## მეთაურიც ასეთი უნდა

**(4-ე საგ. ბატარეია)**

ქართ. სამხ. პარტ. სკოლამ ჩვენს ლეგიონში მანევრების დროს სამუშაოთ გამოგზავნა რამოდენიმე კურსანტი. პარტბიუროს მიერ ესენი დაყოფილ იქნენ ბატარეებში და ეწეოდენ მუშაობას. აქ აღსანიშნავია კურსანტ კიკალიშვილის მუშაობა, რომელიც მოხვდა მე-4 საგ. ბატარეაში. ამხ. მოსვლისთანავე გაეცნო ბატარეიის ცხოვრებას და კომუჯრედის მუშაობას, რის შემდეგ შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. ის განუწყვეტლივ ატარებდა ინდივიდუალურ საუბრებს წ. არმიელებში ყოველგვარ საკითხზე. ატარებდა პოლიტსაათებს, უახლოვდებოდა სოფლად გლეხობას, ცდილობდა გაეგო მათი სულისკვეთება და გაეცნო მათთვის ჩვენი ჯარის ყოფა-ცხოვრება. აგრეთვე ამხ. იღებდა აქტიურ მონაწილეობას კედლის გაზეთის გამოშვებაში და ყოველგვარ მუშაობაში. მასთან ამხ.-ს ძალიან ეინტერესებოდა ბატარეის მოქმედება ომიანობის დროს, რისთვისაც დიდ ყურადღებას აქცევდა მის პრაქტიკულ მოქმედებას და თვითეულ ამოცანის შესრულებას.

ცხადია ასეთი დაინტერესებული ამხანაგი გაამართლებს იმ იმედებს, რომელსაც ამყარებს პარტ. სკოლა თავის კურსანტებზე.

გრ. ბარათაშვილი.

# როგორ ჩატარდა მანევრები

## ინტერნაციონალური ლეგიონი მანევრებზე

**(1-ლი ქ მხრ. ლეგ., მე-2 კავკასიის ლეგ, ცალკე საკ. ას ული და არტლეგი ნი)**

დილის რიჟრაჟია. გაისმა ბუკის ხმა. ბუკის ხმას მოჰყვა მორიგეების „ადექიიით!“ მეომრები საწოლებიდან წამოიშალენ. სასწრაფოდ იცვამენ. ეჩქარებათ. მანევრებზედ უნდა წავიდენ.

ლეგიონო დადექ!—გაისმის მეთაურის ძახილი.

სულ რამოდენიმე წუთი და ლეგიონის მხედრული ნაბიჯი, როგორც ერთი, ისე ისმოდა. გზაში უერთდება მეორე რუსული ლეგიონი, 1-ლ არტლეგიონის ბატარეა, ცალკე საკავშირო ასეულის ნაწილი და დგება ინტერნაციონალური ერთი ლეგიონი—ამავე სახელწოდებით.

მივაღწიეთ სოფ. ხიდისთავში. ამუშავდა ჩვენი ლეგიონის აგიტოთხთვალა. სცვივიან სააგიტაციო ფურცლები მარჯვნივ და მარცხნივ. გლეხობა გაფაციცებით იტაცებს ფურცლებს და ისმის ხმამაღალი კითხვა სხვა და სხვა თემებზე: „წითელი ჯარი და მისი მიზნები“, „საბჭოთა ხელისუფლების ცდები კულტურისა და სამეურნეო აღორძინების შესახებ“ და სხვა.

სოფლის ბოლოზე ჩვენი ნაწილები ისვენებენ.

მაგრამ არ ისვენებენ ასეულების ლენკარვები. მათი მუშაობა ეხლა იწყება. გამოდიან კედლის გაზეთები რუსულ, ქართულ, სომხურ და ოსურ ენებზე. მიდის საუბრები სხვა და სხვა თემებზე.

2 დღის დასვენების შემდეგ ჩვენი ლეგიონი აწყობს სოფ. ხიდის თავში საღამო-წარმოდგენებს და კინო-სურათს. წარმოდგენის წინ მოხსენებით გამოდის 1-ლ ლეგიონის კლუბის უფროსი ამხ. გიორგობიანი, რომელიც ეხება საბჭოთა რესპუბლიკების შინაურ მდგომარეობას და აღნიშნავს დიდ მიღწევებს. შემდეგ აღნიშნავს ჩვენი სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენილებას და მიუთითებს, თუ რა გზით შეიძლება წინ წაწეულ იქნას ეს დარგი.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელმა 1-ლი ლეგიონის სახელით გადასცა ხიდისთავის ქოხ-სამკითხველოს 80 ცალი სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო ხასიათის წიგნი.

შემდეგ მიდის წარმოდგენა „აღთქმულ ქვეყნისაკენ“ და „პირველი ხარი“. ბოლოს მიდის გურულ—იმერული სახუმარო სცენები, რაც დიდ მხიარულებას და ხარხარს იწვევს გლეხებში. ამრიგად თავდება ჩვენი „სმიჩკის“ (დაახლოება—დაკავშირების) დასაწყისი ხიდისთავლებთან.

ლეგიონი ბრუნდება დასასვენებელ ადგილზე.

ა. დეისაძე

## 9 დღე ოსეთის მშრომელებთან.

**მ ძმე დივიზიები ალლუმზე.**

ქალაქ გორში მობანაკე ქართულ და რუსულ დივიზიებმა ერთად ჩაატარეს ეს უკანასკნელი ალლუმები. ალლუმების მიზანი იყო გამოემჟღავნებია თვითეული მეომრის უნარიანობა და საბრძოლო მომზადება ომის დროისთვის.

ამასთან ჩვენი მიზანი იყო გავსცნობოდით ჩვენი მოსაზღვრე სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობას.

ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული. მეომრებმა საუცხოვო დისციპლინიანობა გამოიჩინეს. საბრძოლო წესები კარგად იქნა დაცული, როგორც საჰაერო მტრის წინაალმდეგ ბრძოლაში, ისე ადგილმდებარეობასთან შეხამებაში.

ამ მოქმედების შემდეგ ჩვენ შევედით ქ. ცხინვალში, სადაც ოსებთან ერთად ალლუმი უნდა გაგვემართა.

24 აგვისტოს, ღამით ჩვენ დავბინავდით ცხინვალის ზემოდ. დილისთვის ცხინვალის მარჯვნივ მოედანზე იდგა ჩვენი ჯარი საომარი წყობილებით. ჩვენს ალლუმს ოსეთის მოსახლეობა აღფრთოვანებით შეეგება.

ალლუმის შემდეგ გაიმართა წითელარმიელთა ფიზიკური ვარჯიში და ცხენების ჯირითი.

საინტერესო იყო მძიმებელ ძალლების მოქმედება საკავშირო საქმეში.

ალლუმები 9 დღე გაგრძელდა.

თვითეული ალლუმზე მონაწილე მეომარი და ოსეთის მშრომელი სიამოვნებით მოიგონებს ამ ცხრა დღეს.

შ. აზ-კუროვი

## უღირსი წ. არმიელი

29 აგვისტოს კახეთის ქუჩაზე მივდიოდი. უეცრად გალეშილი წ. არმიელი გადაეღობა ქუჩაში მიმავალ ქალს და დაუწყო გინება და ლანძღვა. ესეც არ იკმარა და ხელის მოხვევასაც უპირობდა, რომ თავის ამხანაგებს არ შეეჩერებიათ. როგორც გამოირკვა, ეს ვაჟბატონი ყოფილა ქართულ ცხენოსან ლეგ. მე-3 ესკადრონის წ. არმიელი კოლია კოპალეიშვილი და ისიც წერაკითხვის სკოლის მასწავლებელი. ჩვენ გვაინტერესებს —მართლაც თუ არის ეს ამხ. მასწავლებელი, ან რა უნდა ასწავლოს მან წ. არმიელს, როდესაც თვითონ გამოდის წესრიგის დამრღვევად.

ცხენოსან ლეგიონის უფროსმა შემადგენლობამ სასტიკი პასუხი უნდა მოსთხოვოს ასეთ უღირს წითელ არმიელს, რომ ასეთი მოვლენა შემდეგისთვის არ განმეორდეს, ვინაიდან ეს სახელს უტეხს ყოველ პატიოსან სამხედრო მსახურს.

დამსწრე.

## ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან

**(ქართულ მეთ. სამხ. სკოლა)**

კურსანტების ნაწილი წავიდა შვებულებაში, ნაწილი კი დარჩა. აღარაა ძველებური ფუსფუსი ეზოში. სკოლის შენობა და გალავანი მოწყენილად გამოიყურება. თითქოს ამბობს: „კურსანტები წავიდენ, ჩვენ რა გაგვამხიარულებსო“. წარმოდგენები და კინოები აღარ იმართება, აღარაა მხიარულება. კლუბის ოთახი, სადაც წარმოდგენა ტარდება, ისიც დამუნჯებულია. როიალიც სდუმს. ერთი სიტყვით ყველგან სიწყნარეა. კურსანტებიც მოწყენილნი დადიან. მაგრამ... გათენდა ორშაბათი დღე. კურსანტებმა შენიშნეს კედელზე გაკრული აფიშა. „30 სექტემბერს ქ. მ. ს. სკოლაში წარმოდგენა გაიმართება. პიესა: „სასიძლო შურის ძიება“. პიესის დასასრულს მოხდება გმირების გასამართლება. დასაწყისი 8 საათზე“. ეს ამბავი ელვასავით მოედო კურსანტებს. დაღამდა... უკვე 7 საათია... კლუბის დარბაზში დაიწყეს შეკრება... მოგროვდნენ ვინც კი იყო დარჩენილი. სასულე ორკესტრიც იქ არის... უკრავს სხვა და სხვა ნომრებს...

შესრულდა 8 საათი... აიხადა ფარდა.. უკვე მიდის პიესა. მომქმედნი პირნი კარგათ ასრულებენ თავიანთ როლს. პიესა დასრულდა. კლუბის უფროსი აცხადებს: „გასამართლება არ ჩატარდება, ვინაიდან მომზადებული არ არიან. მის მაგიერ ჩატარდება კომედია ერთ მოქმედებათ „უბედური დღე“. არ ესიამოვნათ კურსანტებს, რომ არ ჩატარდა გასამართლება. მაგრამ მხიარულმა პიესამ ყველაფერი დაავიწყებინათ და თავისკენ მიიპყრო დამსწრეთა ყურადღება. მქუხარე ტაშით დასრულდა ეს პიესაც. მუსიკამ დაუკრა მარში. ყველანი კმაყოფილი დარჩა ამ საღამოს ჩატარებით.

შ. გელაშვილი.

**ამხ. წითელ არმიელო! გახსოვდეს, რომ შვებულებაში წასვლის შემდეგაც უნდა იყო შენი გაზეთის მუდმივი ხელის მომწერი. ხელი შეუწყვე მის გავრცელებას სოფლად.**

## მანევრები და სასკოლო მუშაობა „ლურჯი“ მხარის ნაწილებში

მუშაობის სხვა მრავალ სახეებთა შორის მანევრებზე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა სასკოლო მუშაობამ. მიმდინარე დიდ მანევრებმა სავსებით დაამტკიცა ის, რომ სასკოლო მუშაობა თავისუფლად შეიძლება შეუფარდოთ საბრძოლო პირობებს. ამ მხრივ „ლურჯი“ მხარის ნაწილებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადასდგეს და საკმაო გამოცდილებებიც მიიღეს.

სასკოლო მუშაობა მიზნად ისახავს გაურკვიოს წ. არმიელებს ყველა ის საკითხები, რომლებიც წამოიჭრებიან მათ გარშემო მანევრების დროს.

„ლურჯი“ მხარის პოლიტგანყოფილებამ მანევრებზე გასვლამდის განსაზღვრა სასკოლო მუშაობის აზრი და მიზანი და დაუგზავნა თავის ნაწილებს საორიენტაციო გეგმა. გეგმაში დაახლოვებით გათვალისწინებული იყო შემდეგი თემები: „ს.ს.რ.კ-ს შინაური და საგარეო მდგომარეობა“, „ევროპის ფაშიზმი“, „ინგლისი და ს.ს.რ.კ.“ „აგრესიული პოლიტიკა პოლონეთის“, „წითელი არმია და გლეხობა“ და სხვა.

მანევრების მსვლელობაში გამოირკვა, რომ გეგმაში გათვალისწინებული თემები არ იყო საკმარისი და ამავე დროს ცხოვრება აყენებდა ახალ საკითხებს. „ლურჯი“ მხარის პოლიტგანყოფილებამ დაუგზავნა ნაწილებს პოლიტ-დირექტივა და უჩვენა მათ სასკოლო მუშაობის გზები.

სასკოლო მუშაობა მიდიოდა, როგორც წ. არმიელებში, ისე სოფლის მოსახლეობაში. ხშირად ხდებოდა წ. არმიელების და გლეხობის გაერთიანებული მეცადინეობები, რომლებსაც უფრო შინაარსიანს ხდიდა შემდეგი საკითხები: „მოსავლიანობა და პურის დამზადების საკითხი ს.ს.რ.კ-ში“, „სასოფლო სამეურნეო გადასახადი“, „კოოპერაცია“, „წერკუმსი და მისი როლი“, „საბჭოების გადარჩევის შედეგები“, „ძველი და ახალი ოსეთი“ და სხვა მრავალი... ასე, რომ სასკოლო მუშაობამ მოლოდინს გადააჭარბა და არა თუ გეგმაში გათვალისწინებული პროგრამა, მრავალი ახალი სააღლუმო ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხები იქნა გარჩეული და შესწავლილი წ. არმიელების და გლეხობის მიერ.

სასკოლო მუშაობის დარგში ასეთი მიღწევები უნდა მივაწეროთ ნაწილობრივ იმას, რომ თითეულ სოფელში „ლურჯი“ მხარის ნაწილებს უხდებოდათ გაჩერება რამოდენიმე დღით. წ. არმიელები არავითარ დაღლილობას არ გრძნობდნენ და დიდი ხალისით ეკიდებოდენ პოლიტმუშაობას.

ზოგიერთ ნაწილებში გაიმართა „პოლიტ-ბრძოლა“, რამაც არაჩვეულებრივი ინტერესი გამოიწვია დამსწრე გლეხობაში. გლეხობა გაკვირვებული დარჩა წ. არმიელების პოლიტმომზადებით.

არა ნაკლები შედეგები მოგვცა სასკოლო მუშაობის დარგში სანიტ-საუბრებმა, რომლის თემებად გამოყენებულ იქნა სოფლის ანტისანიტარული მოვლენები. ამ მიმართულებით გატარებულ იქნა შემდეგი თემები: „მოძრაობის ჰიგიენა“, „ჯანსაღი შთამომავლის აღზრდა“, „სოფლის ჰიგიენა და ქალის როლი ჰიგიენაში“, „ექიმბაშობა სოფლად და მასთან ბრძოლა“, „სისუფთავე და ჯანმრთელობა“ და სხვა...

სასკოლო მუშაობის მეთოდები და ფორმები სრულიად შეფერებული იყო მანევრების პირობებთან. აქ, განსხვავებული პირობების გამო არ შეიძლებოდა წ. ჯარში მიღებული სასკოლო მუშაობის ფორმები და მეთოდები უცვლელად გამოგვეყენებია. ყველაზედ უფრო მიზანშეწონილი და მანევრების განსაკუთრებულ თვისებებთან შეფერებული გამოდგა პოლიტ-თემის დალაგება „სასაუბრო“ მეთოდით, ხოლო გადაცემის ფორმად—ჩვეულებრივი საუბარი.

მეტად კარგი შედეგები მოგვცა პოლიტხელებისა და სოფლის პედაგოგიურ შემადგენლობის შორის კავშირის დამყარებამ. ასეთი ხასიათის მუშაობის ჩასატარებლად პ. განყოფილებამ ვრცელი დირექტივები მისცა ნაწილებს, რამაც რეალური ნაყოფი გამოიღო. ჯარის ნაწილების მასწავლებლები და პოლიტხელები ეცნობოდნენ სოფლის სასწავლებლების ცხოვრებას, მათ მატერიალურ და პედაგოგიურ მხარეებს, სწავლობდნენ თუ რა მეთოდებით აწარმოებდნენ სოფლად მეცადინეობას, რა თვალსაჩინოებები ყოფილა გამოყენებული და სხვა. თავის მხრივ პოლიტხელები აცნობდნენ მათ ჯარში მეცადინეობის მეთოდებს და ფორმებს; აძლევდნენ მეთოდიურ მითითებებს და ურიგებდნენ მეთოდიურ ბროშურებს.

ასეთია სასკოლო მუშაობის უმთავრესი მომენტები „ლურჯი“ მხარის ნაწილებში და მთლიანი შთაბეჭდილება კარგია. არის წვრილმანი ხასიათის დეფექტები, მაგრამ ისინი არ ჩაითვლებიან დამახასიათებლად.

ო. ლაბარტყავა.

# უცხოეთის არმიებში

### აჯანყებები რუმინეთის არმიებში.

გადიდდა რა ერთი-ორად, რუმინეთი გახდა ჭრელი სახელმწიფო, რომელშიაც შედის სხვა და სხვა ერი. ამის გამო რუმინეთის არმიაში ამ ჟამად 30 პროცენტი სხვა ეროვნებათა შემადგენლობაა: გერმანელები, ჰუნგრელები, სლავები. ეს უკანასკნელნი უფრო კულტურული არიან რუმინეთის დამონავებულ გლეხებზე და მათ შორის ძნელი გახდა ჯოხის დისციპლინის შთანერგვა.

და აი მოხდა კიდეც საოცარი ამბავი: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესების“ ჯარებში გაჩაღდა რევოლიუციონური პროპაგანდა.

შედეგიც მალე მოჰყვა: დივიზიამ, რომელიც გაგზავნილ იყო ბანატაში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად, დატყვევებულ მეამბოხეთა მაგივრად დაჰხვრიტა აჯანყების ჩაქრობის ხელმძღვანელი—რუმინეთის გენერალი თავისი თანამოაზრე მხლებლებით; ხოლო ჯარებმა, რომლებიც გაგზავნილ იქნა ბუკოვინიდან ბესარაბიაში იქ დაწყებულ აჯანყების ჩასაქრობად, გზა და გზა გადაჰყარეს მატარებლის ფანჯრებიდან იარაღები.

რუმინეთის სამხედრო სარდლობამ გააჩაღა ბრძოლა წითელი საფრთხის წინააღმდეგ. ყველა დივიზიაში მოწყობილ იქნა ჯაშუშთა ორგანიზაციის განყოფილებები, გამრავლებულ იქნა პროვოკატორები.

ვენის ერთ გაზეთში მოთავსებულია რუმინეთის მეფის არმიის მსახურთა სია, რომლებიც სიკვდილით დასჯილ იქნა წასული წლის შემოდგომის თვეებში. მაგ. ოკნოში სიკვდილით დასჯილ იქნა 16 ჯარის კაცი და 40-ს მიუსაჯეს ხანგრძლივი ციხეები. კიშინევში სხვა და სხვა დროს დახვრეტილ იქნა 45 კაცი, მათ შორის ერთი ოფიცერი. გერმანშტადში სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა 44 ჯარისკაცსა და 3 ოფიცერს.

არა ნაკლებ მკაცრად მოეპყრენ ბუკოვინის ლეგიონის ჯარისკაცებს, რომლებიც გაგზავნილ იყვნენ ბესარაბიაში აჯანყების ჩასაქრობად და რომლებმაც გზაში იარაღები გადაჰყარეს. ყოველი მეათე მათ შორის დახვრეტილ იქნა ადგილზე, ხოლო ხელმძღვანელები გადასცეს სასამართლოს, რომელმაც თავის მხრივ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 38 კაცს. რუმინეთის სარდლობამ მასიურად გასწყვიტა ჯარის კაცები 1924 წლის მანევრებზეც.

მასიური ტერორი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა რუმინეთის არმიაში. დახვრეტა სწარმოებს გაუსამართლებლად და გასამართლებით, ათასობით ჰყრიან ციხეში და ნელნელა უსპობენ სიცოცხლეს.

ციხეებში გამეფებულ რეჟიმის სისასტიკეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უბრალო მიზეზია საჭირო, რომ პატიმარი „გაროზგონ“, მიუსაჯონ 6 საათით მორიგეობა 60 გირვანქიანი ტვირთით, ჩამოჰკიდონ ხელებით და სხვ.

# ნარევი

### 163 წლის მოხუცი.

სტამბოლის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოათავსეს ოსმალო არზა, რომელიც ახ(?) სამოცდა სამი (163) წლისაა. როცა მას შეეკითხენ—როგორ ხარო, განაცხადა: „ცოტა არ იყოს დაღლილობას ვგრძნობ, რა გაეწყობა; ჩემი ხნის კაცს ეს არ გაემტყუნება. მაგრამ იმედი მაქვს მალე მოვღონიერდები და სრულიად მოვრჩები“.

# პასუხი შეკითხვებზე

— მე—შვილს. მეორეჯერ ნორმალურ სკოლაში მიღება შეუძლებელია.

— მმაღლობელს. თუ გამოირკვა, რომ არტილერიაში სამსახური თქვენთვის შეუძლებელია, მაშინ გადაყვანილი იქნებით ქვეითა ჯარში.

— ლომიძეს. თუ სამხ. სკოლაში თქვენ გადაგზავნილი იყავით ზედმეტ მსახურათ მამასახლისად ყოფნის დროს, ჯამაგირი უნდა მიიღოთ მე-8 ხარისხით მეცხრე ხარისხიდან განაკვეთით.

— კურსანტს. სამხ. სკოლის კურსანტებს კერძო ბინაზე ცხოვრება არ შეუძლიათ.

— ელიაშვილს. ტანსაცმელს, რომელსაც ღებულობს კურსანტი სკოლაში ყოფნის დროს, მის საკუთრებად არ გადადის.

— ალაზნელს. თუ არ დაასრულეთ სამხ. სკოლის კურსი ან გამოცდები არ ჩააბარეთ, ისე საშუალო მეთაურის თანამდებობაზე წარდგენილი არ იქნებით (ბრ. № 1032—25 წ.).

— ზღვაშვილს. უმცროსი ნაწილიდან ჯამაგირს ღებულობს მეორე ხარისხით მეცხრე ხარისხიდან განაკვეთით, უფროსი კი—მეოთხე ხარისხით (ბრ. № 111—25 წ.).

— გძელიძეს. ა. წ. შემოდგომაზე.

— ს. ე. ზედმეტი ჯამაგირი არ გეკუთვნით.

— ჟღაძეს. სამხედრო სამსახური ორი წელია.

— მზა—ნოვს. განთავისუფლებული იქნებით ა. წ. შემოდგომაზე.

— ჭიკაძეს. ტრაქტორის კურსებზე შეუძლია გაგაგზავნოს იმ ორგანიზაციამ, რომელიც იძენს ტრაქტორს.

— ნადარეიშვილს. შვებულებიდან ნაწილში დაბრუნების არა უგვიანეს ორი თვისა უნდა წარადგინოთ მოწმობები, რომ თქვენ არ მიგიღიათ ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნის დროს ულუფის ფული და მოგეცემათ.

— ა—შვილს. მოკლე ვადიანი შვებულება არ მოგეცემათ.

— № 15. მიმართეთ „მახს“-ს გვარის გამოცვლის შესახებ.

— მენაბდეს. ოჯახზე შეღავათებით არ სარგებლობთ, რადგან თქვენი ძმა 40 წლისაა.

— ოქრუელს. მამულის გაყოფა შეგიძლიათ თქვენი ჩასვლამდე.

— კ—შვილს. საოჯახო ულუფა არ გერგებათ.

— ბზიაშვილს. მიმართედ სამხედრო პროკურორს.

— ვ—ძეს. ბალი შეგიძლიათ გასცეთ იჯარით, სანამ სამსახურში ხართ.

— გუნდრუკს. მიწის გაყიდვა აკრძალულია, არ შეგიძლიათ.

— გალმელს. თუ ხართ ბრძანებაში გატარებული მოგეცემათ ოცმეთაურის ჯამაგირი.

— ზედანიას. ტერნაწილში გადარიცხული არ იქნებით.

— ტურას. შეღავათებით არ სარგებლობთ, რადგან გყავთ ძმა, რომლის მოვალეობას შეადგენს ოჯახის რჩენა.

— კარგანოვს. წ. ა. სამხ. უწყებიდან ბავშვისათვის რძის ფული არ ეძლევათ.

# ჩვენი ფოსტა

წითელ მოლაშქრეს. ექიმმა უკეთ იცის, თუ ვის რა წამალი გამო-წეროს. წერილი არ წავა.

გ. ბარათაშვილს. წითელი ჯარი სამხრეთ ოსეთში—არ წავა. ამის შესახებ უკვე გავიდა ჩვენი გაზეთის № 149-ში.

მარელისელს. თქვენი ლექსი—მზევ—ჩვენი გაზეთისთვის არ გამოგვება. სწერეთ წითელ არმიის ცხოვრებიდან.

გუშაგს. ცნობა—შეათეთრეთ—არ წავა. მოათავსეთ თქვენს კედლის გაზეთში.

პ. კახიძეს.—უვადო შვებულების კურსებზე მზადება—არ დაიბეჭდება. შეგიძლიათ კვლავ მოიწეროთ ამ თემაზე, მაგრამ დაწერეთ გარკვევით—სად რა გაკეთდა და როგორი წარმატებით.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მსრ. ლეგ. 1-ლ ასეულის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები უპარტიო ამხანაგებს, პარტიაში კანდიდატებათ მიღების შესახებ:

1. ელიზბარაშვილი მიხეილ, (სიღნაღის მაზრა, ს. ყანდაური); 2. ეგაძე იასონ (გორის მაზრა, სოფელი ფხვენისი); 3) გობოზოვ ალექსი (ცხინვალის მაზრა, ს. ხელჩვა); 4. ბეროშვილი გიორგი (სიღნაღის მაზრა, ს. ჯიმითი); 5. ხაჟომია სპირიდონი (სენაკის მაზრა, ს. მარტვილი).

ზემო აღნიშნულ ამხანაგებზე, პარტიის წევრებს ან მოქალაქეებს, თუ რაიმე საწინააღმდეგო აქვთ მათი პარტიაში კანდიდატებათ მიღების შესახებ, გთხოვთ წერილობით ან სიტყვიერათ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში, 1-ლ კომუჯრედში.

კომუჯრედის მდივანი ხარაბაძე.

მე-5 ლეგიონის მე-2 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატებს წევრად გადარიცხვის შესახებ:

1. ქყონია მოსე იოსების ძეს (ოზურგეთის მაზრა, სოფ. ჯუყვეთი); 2. ცხვირაშვილი გიორგი დავითის ძე (გორის მაზრა, ხაშური).

ა. ლ. კ. კ. წევრებს კომპარტიის კანდიდატად გადარიცხვის შესახებ:

1. ოც. მეთ. თოდუა დავითი ანდრიას ძეს (ქ. ქუთაისის მცხ.); 2. სკოლის მეკუჭნავე ქუთათელაძე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს (გორის მაზრის მცხოვრები); 3. სკოლის ათ. მეთ. ქორქაძე მიხეილ გიორგის ძეს (ქ. გორის მცხოვრები); 4. ცხენოსან ოცეულის ათ. მეთ. შენგელია შალვა მიხეილის ძეს (ქუთაისის მაზ., სოფ. ხიბლის მცხოვრები); 5. სკოლის კურსანტს, ბერაია ბენიამინ თედორეს ძეს (ოზურგეთის მაზ., სოფ. ქვემო ხეთის მცხოვრები); 6. მუსიკალურ ჯგუფიდან—ბერძენიშვილი გიორგი კოსტას ძეს (ქ. ქუთაისის მცხ.).

აგრეთვე უპარტიო ამხანაგებს კომპარტიის კანდიდატებად მიღების შესახებ:

1. ლეგ. კლუბის უფროს, ვლადიმერ ილარიონის ძე ლალა... (ქ. ქუთაისის მცხ.); 2. ლეგ. სკოლის მამასახლისს, მიხეილ სამსონის ძე კვანტალიანს (ქ. ქუთაისის მცხ.).

ვინც რაიმე უარყოფითი იცის აღნიშნულ ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში ქ. ქუთაისში. ხელმოუწერელი ქაღალდები არ მიიღება.

კომუჯრედის პ. მგ. მდ. მ. კვირკველია.

მე-2 ქ. მ. ლეგიონის მე-7 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიაში კანდიდატებათ მიღების შესახებ:

1. წითელარმიელ გენოლიშვილს ბიქტორს, 2. გოგუა შალვა ზემდეგი, 3. წითელარმ. ობოლაშვილს იოველს, 4. დვალი ნიკოლოზს, ათ. მეთ.

თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ზემოაღნიშნულ ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-7 კომუჯრედში.

კომუჯ. მდივანი ღვინიაშვილი.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგ. მე-4 ასეულის ა. ლ. კ. ჯგუფში შემოტანილი აქვს განცხადება ამხ. გოქსაძეს ა. ლ. კ. წევრობიდან პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ აღნიშნულ ამხანაგის შესახებ, გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები 1 კვირის განმავლობაში.

მე-4 ასეულის ა. ლ. კ. კ. ორგანიზატორი მატალაძე.

მე-4 ქართ. მსრ. ლეგიონის მე-8 და მე-9 ასეულების კომუჯრედში № 8 შემოტანილი აქვთ განცხადება ა. ლ. კ. კავშირიდან კომპარტიის კანდიდატებად მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1. პატარქალაშვილი სერგო ალექსანდრეს ძეს (გორის მაზრა, ხაშურის თემიდან, ოც. მეთაური); 2. იმერლიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძეს (ათ. მეთაური, თელავის მაზრ. ყალიოს თემიდან.

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ზემოაღნიშნული პირების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ დღიდან გამოცხადებისა 10 დღის განმავლობაში.

მე-8 კომუჯრედის მდივანი ბალიაშვილი.

მე-4 ქართულ მსრ. ლეგიონის მე-4 ასეულის № 4 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტკანდიდატებს პარტიაში გადარიცხვის შესახებ:

1. ჩხაიძე ანტონს, 2. ჯინჭარაძე ილიას და 3. კომკავშირის წევრს ამხ. ჭაფოძე ნიკოლოზს.

თუ ვინმემ იცით რაიმე უარყოფითი ზემოაღნიშნულ ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-4 ლეგ. მე-4 კომუჯრედში.

უჯრედის მდივანი ლ. ჭელიძე.

# ლოზუნგები
## გაწვევისა და უვადო შვებულებაში გაშვებისათვის.

1. წითელი არმია—საბრძოლო სკოლაა. წვეულო, შეისწავლე სამხედრო საქმე და იარაღის კარგა ხმარება.

2. წითელი არმია მოქალაქე—საზოგადოებრივი მუშაკის სკოლაა. შვებულო, იყავ საბჭოთა ხელისუფლების მარჯვენა ხელი ახალი ცხოვრების მშენებლობაში სოფლად.

3. შვებულო, გახსოვდეს ომის საფრთხე! ნუ დაივიწყებ სამხედრო საქმეს, გეჭიროს კავშირი თავის ნაწილთან.

4. წვეულო, იყავ ღირსეული მემკვიდრე ჩვენი წითელი არმიის საბრძოლო წარსულისა.

5. წითელი არმია ძლიერია სამხედრო საქმის ცოდნით, დისციპლინიანობით, პოლიტიკური შეგნებით, საერთო კულტურულობით,—წვეულო, აამაღლე წითელი არმიის ძლიერება!

6. წითელი არმია—ერთად-ერთი არმიაა მსოფლიოზე, რომელიც შესდგება მუშებისა და გლეხებისაგან და იცავს მუშებსა და გლეხებს.

7. მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას იწვევენ წითელ არმიაში სამხედრო საქმის სასწავლებლად და მუშათა და გლეხთა მშვიდობიანი შრომის დასაცავად.

8. მეფის არმიაში გაწვეული ახშობდა დარდებსა და შიშს მეფის ყაზარმის წინაშე ღვინით. წითელ არმიაში გაწვეულისთვის—მუშურ-გლეხური ინტერესების შეგნებულად დამცველისთვის—ღვინო საჭირო არაა.

9. თვითეული მორიგი გაშვება წითელი არმიის რიგებიდან აძლევს სოფელს წერა-კითხვის მცოდნეთა, შეგნებულ საზოგადოებრივ მუშაკთა არმიას.

10. წვეულო, წითელ არმიაში წასვლისას გახსოვდეს, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება არ დასტოვებს შენს ოჯახს უყურადღებოდ და დაუხმარებლად.

11. მუშებო და გლეხებო! მიეცით წითელ არმიას საბჭოთა კავშირის დამცველთა და მეომართა ახალი ცვლა,—მიეცით სოფლისა და ქალაქის მომავალი საზოგადოებრივი მუშაკნი.

12. მუშებო და გლეხებო, მეტი ამხანაგური ყურადღება და შეძლებისდაგვარი დახმარება წითელ არმიაში გაწვეულებსა და მათ ოჯახებს.

13. წითელი არმიის ძლიერება საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურული ზრდის თავდებია.

14. შეგნებული და დისციპლინიანი არმია საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის თავდებია.

15. წვეულო! შენ მიდიხარ წითელ არმიაში, რათა ემსახურო მუშებისა და გლეხების ინტერესებს,—იყავ ღირსეული წითელარმიელი!

16. წითელარმიელი—მეომარი მოქალაქეა. წვეულო, ისწავლე სამხედრო საქმე და იყავ დისციპლინიანი მეომარი წითელი არმიისა.

17. სანამ ბურჟუაზია სათავეში უდგას ევროპის სახელმწიფოებს,—ელოდე თავდასხმას. აძლიერე წითელი არმია!

18. წვეულო! მიდიხარ რა წითელ არმიაში, გახსოვდეს: დისციპლინა და სამხედრო სწავლება ამტკიცებს წითელი არმიის ძლიერებას.

19. წვეულო, შენ მოწოდებული ხარ სადარაჯოდ და მუშებისა და გლეხების კავშირის დასაცავად.

20. წვეულო, შენ გებარება ჩვენი საბჭოთა კავშირის დაცვა! შენ უნდა გააკეთო ყველაფერი წითელი არმიის საბრძოლო ძლიერების ასამაღლებლად,—იყავ შეგნებული, იყავ დისციპლინიანი, ისწავლე სამხედრო საქმე!

21. წითელი არმია—სკოლაა გამარჯვებისა კლასობრივ მტრებს, ბურჟუაზიასა და მემამულეებზე.

22. იმარჯვებს მხოლოდ სამხედრო საქმის მცოდნე. უცოდნელად შეუძლებელია გამარჯვება.

23. იყავ კავშირის ერთგული დამცველი, ბრძოლაში შეუპოვარი და მხნე, სამაგალითო მოქალაქე!

24. გუთანსა და თოხთან შაშხანაც გახსოვდეს.

25. შვებულო, მოაწყე სოფლად სამხედრო კუთხე, გაუზიარე წითელ არმიაში მიღებული ცოდნა შენს თანამესოფლეებს.

26. გახსოვდეს ლენინის ანდერძი:—გააძლიერე მუშებისა და გლეხების კავშირი: ესაა საბჭოთა კავშირის ძლიერებისა და უზრუნველყოფის თავდები.

27. „მშრომელთა საყოველთაო სამხედრო ბეგარა,—ეს არის თვითეული ახალგაზრდა მუშისა და გლეხის საპატიო მოვალეობა—დაიცვას თოფით ხელში თავისი მუშურ-გლეხური რესპუბლიკა ყველა მისი მტრებისაგან“. (საბჭოთა მთავრობის დეკრეტიდან 1922 წ. 28 სექტემბრის თარიღით).

28. „ამხანაგებო, მზად იყავით! გაუფრთხილდით ჩვენი ქვეყნისა და წითელი არმიის თავდაცვის უნარიანობას, როგორც თვალის ჩინს“. ლენინი.

29. შვებულო, აასრულე ამხ. ლენინის ანდერძი: წიგნი მასებს!

30. შვებულო! თვალყური ადევნე საერთაშორისო ცხოვრების ამბებს და აუხსენი გლეხობას—რა ხრიკებს მიმართავენ ბურჟუაზიული მთავრობები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

31. წვეულო, შენ მიდიხარ წითელ არმიაში იმისათვის, რომ გახდე საუკეთესო მეომარი, საბჭოთა კავშირის მშრომელთა შეგნებული და ვაჟკაცური დამცველი.

32. შვებულო, ჩადექი სოფლისა და ქალაქის აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკთა რიგებში.

33. გუთანსა და დაზგასთან ერთად შაშხანაც გახსოვდეს.

34. „მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინის გარეშე არ შეიძლება არმიის არსებობა!“.

მ. ვ. ფრუნზე.

35. „შვებულო, გახსოვდეს წითელი არმია!“. მ. ვ. ფრუნზე.

36. „ლენინმა ჩვენ დაგვიტოვა ანდერძი: „იყავ მზად“.

მ. ვ. ფრუნზე.

მ. გ წ. ა. პოლიტიკური სამმართველო.

**დაიკარგა** წითელარმიელის წიგნაკი სიმონ გ...რჯიძეს სახელზე № 5. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაიკარგა** წითელარმიელის წიგნაკი № 4. გაცემული ტერ-სამმართველოს გუნდიდან, კონსტანტინე პაპიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს სახელმწიფო სტამბა № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.